




კატასტროფის რისკის შემცირების კომპონენტის ინტეგრირება საქართველოს განათლების სისტემაში



მიღწეული პროგრესის მიმოხილვა, 2011 წელი



საქართველო არის რეგიონი, სადაც ძალზე მაღალია ბუნებრივი კატასტროფების რისკი. ბუნებრივი საფრთხეები – მიწისძვრები, წყალდიდობები, მეწყერები და გვალვები – საშიშროებას უქმნის ათასობით ადამიანს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დაუცველი არიან ბავშვები და მათზე მზრუნველი პირები, რადგან ხშირად მათ არ გააჩნიათ სათანადო ცოდნა, უნარი და ცხოვრებისეული გამოცდილება, რომ მომზადებული შეხვდნენ ამა თუ იმ ბუნებრივ კატასტროფას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტისა და გაეროს ბავშვთა ფონდ იუნისეფის მიერ 2010 წელს დაწყებული პარტნიორული ინიციატივის საფუძველზე დღეისათვის ბავშვებს უკვე აქვთ

შესაძლებლობა, რომ ისწავლონ, მოემზადონ და შეიძინონ შესაბამისი უნარ-ჩვევები, რათა თავი გაართვან ბუნებრივი კატასტროფებით გამონეულ საფრთხეებს.

იუნისეფის კატასტროფის რისკის შემცირების პროგრამის ფარგლებში, რომელიც ფინანსდება ევროკომისიის ჰუმანიტარული მისიის (ECHO) მიერ, მნიშვნელოვანი წინსვლაა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კატასტროფის რისკის შემცირების დანერგვის მიმართულებით.

მოსაზრება, რომ ბავშვები არიან თავიანთი ოჯახებისა და საზოგადოების საუკეთესო მაცნეები, კარგად იქნა გამოყენებული ამ პროცესში. თუკი კატასტროფის შემცირების საქმეში ჩაერთვება ყველა, ეს იქნება გრძელვადიანი შედეგის მომტანი და დიდად დაეხმარება ამ მოვლენების მიმართ მოსახლეობის გამძლეობის გამომუშავებას.

პოლიტიკის დონეზე მიღწეული პროგრესი

საგანმანათლებლო სექტორში კატასტროფის რისკის შესამცირებლად ცენტრალურ დონეზე არსებული პოლიტიკის გაძლიერებისათვის პირველ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა იუნისეფსა და დაინტერესებულ სამთავრობო მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ტექნიკური სამუშაო ჯგუფი.

ამ ჯგუფის მუშაობის შედეგად მოხდა არსებული სასწავლო გეგმის გადახედვა და ახალი პროგრამის შექმნა-პილოტირება. ასევე გადაისინჯა ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა კატასტროფის რისკის შემცირების კომპონენტის გაძლიერების თვალსაზრისით და შემუშავდა რეკომენდაციები.

ერთობლივი ინიციატივის შედეგია, რომ დღეისათვის უკვე საშუალო განათლების სამივე დონეზე ასწავლიან კატასტროფის რისკის შემცირების კონცეფციებს (დანყებითი, ზოგადი და საშუალო); ამასთან, გათვალისწინებულია მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებები და შესაძლებლობები.



ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ შემუშავებული ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, 2010-2011 სასწავლო წლიდან დაიწყო ახალი საგნის — სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება — სწავლება.

სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების საგნის მასწავლებლის სახელმძღვანელო შექმნა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა იუნისეფის მხარდაჭერით შეიმუშავა IV და VIII კლასების მასწავლებელთა სახელმძღვანელო კატასტროფის რისკის შემცირების ნაწილი, იუნისეფის მხარდაჭერითვე მოხდა ამ სახელმძღვანელოს დაბეჭდვა და გავრცელება. სახელმძღვანელო ოფიციალურად 2011 წლის თებერვალში გამოიცა და მასში განხილულია კატასტროფების დროს უსაფრთხო ქცევის პრაქტიკის საკითხები, კატასტროფების მიმართ მზადყოფნისა და რისკის შემცირების ძირითადი, საბაზისო კონცეფციები.



კლასის დამრიგებლების ტრენინგი კატასტროფისთვის მზადყოფნასა და რისკის შემცირებაში

2011 წლის მაისში ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრისა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ექსპერტებმა ჩაატარეს ტრენინგი საქართველოს მასშტაბით შერჩეული 25 საპილოტე სკოლის დამრიგებელთათვის. ტრენინგი ეფუძნებოდა ტექნიკური სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ კატასტროფის რისკის შემცირების მოდულს.

ტრენინგის დროს დამრიგებლებს დაურიგდათ საგანმანათლებლო ნაკრები ბავშვებისათვის და მასწავლებლის წიგნი — “ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლება ინტერაქტიული მეთოდებით”, რომელიც წარმოადგენს დამრიგებლის საათის დამხმარე სასწავლო-მეთოდურ კომპლექსს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V-IX კლასების დამრიგებელთათვის.

ამჟამად მიმდინარეობს საპილოტე ფაზიდან მიღებული გამოცდილების შეფასება. 2011-2012 სასწავლო წლიდან კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ მოხდება ახალი პროგრამის ოფიციალურად ინტეგრირება V-IX კლასების სადამრიგებლო საათის პროგრამაში.



კატასტროფისთვის მზადყოფნის ლონისძიებას ვილოტირება სკოლებში

„პროგრამაში მონაწილეობა ჩვენ დაგვებმარა იმის გაცნობიერებაში, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სიფრთხილის ზომების მიღება იმისათვის, რომ საფრთხე კატასტროფად არ გადაიქცეს ან, სულ მცირე, შემსუბუქდეს კატასტროფების ზეგავლენა, როცა ასეთი რამ მოხდება“, აღნიშნა მლეთის სკოლის კატასტროფის მართვის ახლადჩამოყალიბებული შტაბის წევრმა.

იუნისეფმა, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან, ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების სამსახურსა და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან თანამშრომლობით, საქართველოს შერჩეულ რვა საპილოტე სკოლაში განახორციელა კატასტროფისათვის მზადყოფნის ღონისძიებები, რაც მიზნად ისახავდა სკოლებში იმ პოტენციალის განვითარებას, რაც მათ საშუალებას მისცემს უკეთ მოემზადონ მოსალოდნელი საფრთხეებისათვის.

კატასტროფისათვის მზადყოფნის ღონისძიებები მოიცავს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბების ჩამოყალიბებას, სკოლებში არსებული საფრთხეების, რისკებისა და მონყვლადობის გამოვლენას, კატასტროფებზე რეაგირების გეგმების შემუშავებას, სკოლების უსაფრთხოებისათვის საჭირო აღჭურვილობის მინოდებას, ტრენინგებსა და სიმულაციურ სავარჯიშოებს.




საგანმანათლებლო თაბაშის დახმარებით პრევენციის კულტურის დამკვიდრება ადრეული ასაკიდან

მნიშვნელოვანია ადამიანმა ადრეული ასაკიდანვე გააცნობიეროს, რომ კატასტროფებთან დაკავშირებული რისკებისა და საგალალო შედეგების შემცირება შესაძლებელია სათანადო ცოდნის მიღებისა და ძალისხმევის შედეგად. ამიტომ იუნისეფმა პარტნიორების დახმარებით თარგმნა და ადგილობრივ კონტექსტს მორგო საგანმანათლებლო მასალების ნაკრები ბავშვებისათვის – „ვისწავლოთ როგორ დავიცვათ თავი კატასტროფებისაგან“. აქ მოცემულია თამაში „რისკლენდი“, სადაც მოთამაშეები შეკითხვებზე პასუხის გაცემით სწავლობენ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ კატასტროფის უარყოფითი შედეგების შესამცირებლად. ეს მასალა საგანმანათლებლო წრეებს და ბავშვებს რისკის მართვის ინოვაციურ და ინტერაქტიულ საშუალებას სთავაზობს.



საზოგადოების გაკლიერება სწავლების გზით: კატასტროფის რისკის შემცირებისა და ნაღმების საშიშროების შესახებ საინფორმაციო კამპანია სამეგრელოში

იუნისეფმა ორგანიზაცია iMMAP/ERWCC-სთან თანამშრომლობით, სამეგრელოში, აფხაზეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მცხოვრები სკოლის მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩატარა მასწავლებლებისა და მოსწავლეების ტრენინგი ნაღმებთან დაკავშირებული რისკების შესახებ და განახორციელა კატასტროფის რისკის შემცირების საგანმანათლებლო კამპანია. პროექტი გავრცელდა რეგიონის 18 სკოლაში და ინფორმაცია მიენოდა 200 მასწავლებელს, 4000 სკოლის მოსწავლესა და რისკის წინაშე მდგარ სხვა თემებს. პროექტმა დიდი ინტერესი გამოიწვია, რასაც მოჰყვა მთელი რიგი კლასგარეშე ღონისძიებებისა სკოლებსა და თემებში. ამან ასევე ხელი შეუწყო ნაღმებთან დაკავშირებული რისკის შესახებ ცოდნისა და კატასტროფებისთვის მზადყოფნის შესახებ ინფორმაციის გაცვლას სკოლებს შორის.



საქართველოს გამოცდილების გაზიარება გლობალურ დონეზე

2011 წლის მაისში საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ჟენევაში გამართულ ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების გლობალურ პლატფორმას დაესწრო, სადაც საქართველომ წარმოადგინა თავისი გამოცდილება – საქართველოს საჯარო სკოლებში სადამრიგებლო საათის ფარგლებში ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლების პრაქტიკა.

„ახალი ინიციატივა, რომელიც მოდის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და იუნისეფისგან, ხელშესახები შედეგების მომცემი იქნება საქართველოში კატასტროფის რისკის მართვაში დადებითი ცვლილებების უზრუნველსაყოფად...“ – განაცხადა გიორგი ზედგინიძემ, გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილემ და საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, გლობალურ პლატფორმაზე წარმოთქმულ თავის ოფიციალურ მოხსენებაში.

“...ჩვენ კონცენტრირებულნი ვართ მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი ოჯახების ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებაზე. ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლება სადამრიგებლო საათის პროგრამის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად ვაქციეთ, რაც ამ მიმართულებით გადადგმული ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ჩვენ

საქართველოს გამოცდილების ბაზირება გლობალურ დონეზე

ამ პროგრამას, როგორც ფორმალური განათლების სავალდებულო ნაწილს, ინფორმაციის გადაცემის ძირითად წყაროდ მივიჩნევთ. მასწავლებლებისა და მოსწავლეების მხრიდან დიდი დაინტერესების გამოხატვა კი გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს, რომ შევძლებთ ბავშვებს ხელი შევუწყოთ საფუძვლიანად დაეუფლონ ამ მიმართულებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს...” – აღნიშნა ნათია ჯოხაძემ, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორმა და დელეგაციის წევრმა.



ვილჯული გამოცდილება



საქართველოს გამოცდილება აჩვენებს, რომ აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა ცენტრალური დონის ხელისუფლებასთან, რათა ყველამ გააცნობიეროს, რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს განათლების სისტემა კატასტროფის რისკის შემცირების გზით საზოგადოების გამძლეობის განსამტკიცებლად.

ამასთან, საპილოტე პროგრამების გამოცდილებამ დაადასტურა, რომ კატასტროფის რისკის შემცირების მიმართ სასკოლო დონეზე გამოჩენილი პროაქტიული მიდგომა შეიძლება გახდეს კატალიზატორი კატასტროფების სფეროში სხვადასხვა მონაწილე მხარის მობილიზებისთვის, რაც მნიშვნელოვანია კატასტროფების ეფექტურად მართვისათვის.

დაბოლოს, საქართველოს გამოცდილება განამტკიცებს მოსაზრებას, რომ განათლების მეშვეობით ბავშვებს შეუძლიათ წინა ხაზზე იყვნენ თავიანთ თემებში რისკების შემცირების ძალისხმევასა. რისკის შესახებ ინფორმირებული და ცოდნით აღჭურვილი ბავშვები შეიძლება შესანიშნავი საშუალება იყოს მნიშვნელოვანი გზავნილების გასავრცელებლად ამ ბავშვების ოჯახებსა და თემებში. სწორედ ეს არის ერთ-ერთი უპირველესი მიზანი, რასაც ემსახურება სავალდებულო სადამრიგებლო საათის პროგრამაში კატასტროფის რისკის შემცირების კომპონენტის ინტეგრირება და წინასწარი გამოცდილება აჩვენებს, რომ ეს იყო სწორი არჩევანი.

მართალია, ეს პროგრამა საკმაოდ ახალია, მაგრამ უკვე გამოიღო შედეგი – ზოგადად მოხდა იმის უკეთ გაცნობიერება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კატასტროფის რისკის შემცირების საკითხის მიმართულებით სხვადასხვა პოლიტიკის შემუშავება, რაც უკეთ დაეხმარება კატასტროფის რისკის შემცირების დისციპლინის დანერგვას განათლებაში (ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო-პროგრამის პრიორიტეტული მიმართულება №3).

თუმცა გასაკეთებელი კვლავ ბევრი რამ რჩება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დაუცველი თემების უსაფრთხოება და გამძლეობა კატასტროფების მიმართ. კერძოდ, უკვე გათვითცნობიერებულია კატასტროფის რისკის შემცირების დანერგვის საჭიროება საგანმანათლებლო ღონისძიებებში, როგორც პოლიტიკის, ისე მართვის დონეზე. აქ იგულისხმება მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრატორებისთვის ტრენინგებისა და სასწავლო პროგრამების შემუშავება, რაც მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეების ინფორმირების გასაზრდელი სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებას, ასევე – ბავშვზე ორიენტირებული და თემზე დაფუძნებული კატასტროფის რისკის შემცირების მასშტაბური ღონისძიებების განხორციელებას.

სამოგვლო სეფა



ფოტო: გონზალო ბელ და დარო სულაკაური